პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მონიტორინგის და ადვოკატირების შესაძლებლობების ამაღლება უფლებების დასაცავად საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.01.2023 - 31.12.2024

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 750 000

Funded by the European Union

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Georgian Democracy Initiative, Human Rights Centre, Netherlands Helsinki Committee

პროექტის ვებსაიტები: hertie-school.org/en/customised/rights-ingeorgia#:~:text=The%20objective%20of%20the%20Strengthening,among%20rights%20holders%20and%20dut

პროექტის აღწერა:
პროექტი „მონიტორინგის და ადვოკატირების შესაძლებლობების ამაღლება უფლებების დასაცავად საქართველოში“ მიზნად ისახავს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო (CSO)) შესაძლებლობების ამაღლებას, ადამიანის უფლებების წარმოჩენის და დაცვის მიზნით.
მოცემული პროექტი ევროკავშირის უფრო ფართომასშტაბიანი ინიციატივის: „საქართველოში ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და დემოკრატიული საქმიანობის კუთხით ბოლო ათწლეულში მიღწეული პროგრესის კონსოლიდაცია და გაგრძელება მომავალში. ეს ასევე თანხვედრაშია იმ ვალდებულებებთან, რომლებიც საქართველოს აქვს აღებული 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად, რაც კანონის უზენაესობის, ფუნდამენტური თავისუფლებების და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის გაძლიერებას ითვალისწინებს.
პროექტის საერთო მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ქართული სსო-ების შესაძლებლობების ამაღლება, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის, ზედამხედველობის და შეფასებისთვის, ასევე უფლებების მქონე ადამიანების და ამ უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების შესახებ. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება სტრატეგიით, რომელიც სსო-ებს შორის ცოდნის ამაღლების მხრივ არსებულ საჭიროებებს და მათ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს ითვალისწინებს და სადაც გააზრებულია, რომ ადამიანის უფლებების ეფექტურად ადვოკატირება

მოსალოდნელი შედეგები:
წინამდებარე პროექტის მიზანია ქართული უფლებადამცველი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სათემო მოძრაობების შესაძლებლობების გაუმჯობესება. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მოსალოდნელი შედეგი:
1. ადგილობრივი სსო-ების და სათემო მოძრაობების წარმომადგენლებისთვის მთელი რიგი სემინარები გაიმართება, მათი გადამზადების მიზნით შემდეგ საკითხებში: ადამიანის უფლებების გამოძიება, მონიტორინგი, ანგარიშგება, კომუნიკაცია, ადვოკატირების შესაძლებლობები და სხვა უნარები, რაც საჭიროებების შეფასებით იქნება გამოვლენილი.
a. მცირე, ადგილობრივი სსო-ების და სათემო მოძრაობების 40 წარმომადგენელი გადამზადდება თბილისში ორი 10-დღიანი სემინარის მეშვეობით, რომელთაგან თითოს 20 მონაწილე დაესწრება (კოჰორტა 1 და კოჰორტა 2). დამატებით, 25 ადგილობრივი ტრენერი გაივლის 40-დღიან სასერტიფიკატო პროგრამას თბილისში, ბათუმსა და ბერლინში (გერმანია), სადაც ისინი ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და ადვოკატირების სწავლებისთვის საჭირო უნარებს შეიძენენ.
2. ეროვნულ დონეზე დაახლოებით 4 უფლებადამცველი სსო, ადგილობრივ დონეზე კი 10-მდე მცირე უფლებადამცველი სსო და სათემო ორგანიზაცია იმუშავებს, რომლებიც ორეტაპიანი ქვეგრანტის პროგრამის დახმარებით მონიტორინგის და ადვოკატირების აქტივობებს განახორციელებენ საქართველოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.
3. ორი შუალედური და ორი საბოლოო ანგარიშის მომზადება, წარდგენა და გამოქვეყნება, სადაც აღწერილი იქნება შეკრების თავისუფლების თვალსაზრისით არსებული საერთო გარემო. ამ ანგარიშებში ასევე მოცემული იქნება რეკომენდაციები შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოებისთვის, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მშვიდობიანი შეკრების და